დამტკიცებულია ბსუ-ს
აკადემიური საბჭოს 2025
წლის 08 მაისის №04-01/.59
დადგენილებით

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

შესავალი

ინტერნაციონალიზაცია სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და განვითარების სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების აუცილებელ პირობას, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორებთან, მონაწილეობა საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში უნივერსიტეტისაგან მოითხოვს, როგორც ადამიანური რესურსებისა და სტუდენტების შესაბამის მომზადებას, ასევე მატერიალური ბაზის სრულყოფას თანამედროვე სტანდარტებით.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას საფუძვლად უდევს განვლილ წლებში უნივერსიტეტის მიერ უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

უნივერსიტეტი 2012 წლიდან არის ევროპის ხელოვნების უნივერსიტეტების საერთაშორისო ლიგის (ELIA) წევრი, უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს ევროპისა და აზიის რამდენიმე ქვეყნის 40-ზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

2023 წლიდან უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს CARTES-სთან (ესპანეთის სახელოვნებო სკოლების კონსორციუმი). კონსორციუმი ორიენტირებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარებაზე ინტერნაციონალიზაციის პროცესში, პერსონალისა და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობაზე, აღნიშნულის ფარგლებში ყოველწლიურად ხორციელდება ერაზმუს+ პერსონალის მობილობა. კონსორციუმი ასევე დახმარებას უწევს უნივერსიტეტს პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების მოძიებაში სტუდენტთა საერთაშორისო პროგრამებში ჩართვის მიზნით.

უნივერსიტეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და დაფინანსებით 2024 წლიდან ახორციელებს „საერთაშორისო გაცვლით საბაკალავრო პროგრამას“. პროგრამის მთავარი მიზანია სტუდენტების პროფესიული და აკადემიური განვითარების მხარდაჭერა საქართველოსა და საზღვარგარეთის მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში. ეს პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, საქართველოში მიღებულ განათლებასთან ერთად, გაიზიარონ უცხოეთის სასწავლებლების გამოცდილება და ცოდნა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ახალგაზრდების პროფესიული უნარების გაძლიერებას, კულტურათაშორისი კომპეტენციების განვითარებასა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც ადასტურებს მის წარმატებას და მოთხოვნადობას. 2025 წლისთვის იგეგმება პროგრამის მასშტაბების გაფართოება და დამატებით რამდენიმე უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დაწყება.

უნივერსიტეტის ორგანიზებით სისტემატურად ტარდება საერთაშორისო ფესტივალები, სამეცნიერო კონფერენციები, ერთობლივი შემოქმედებითი და საგანმანათლებლო პროექტები.

უნივერსიტეტის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მონაწილეობენ საერთაშორისო შემოქმედებით და საგანმანათლებლო ფორუმებში, სამეცნიერო კონფერენციებში, მათი სტატიები იბეჭდება უცხოეთის სამეცნიერო კრებულებში.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და უცხო ენების ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდს (შემდგომში - განათლების ფონდი) შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს განათლების ფონდის მიერ უნივერსიტეტის პერსონალისათვის უცხო ენების შემსწავლელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების უსასყიდლოდ შეთავაზებას.

უნივერსიტეტი მასტერკლასების, საჯარო ლექციებისა და ვორქშოპების ჩასატარებლად იწვევს უცხოელ პროფესორებსა და დარგის სპეციალისტებს.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია პერსონალისა და სტუდენტების ერაზმუს+ და სხვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვა, რაც ხელს უწყობს როგორც პროფესიულ ზრდას, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.

უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებთან „eIFL"-ის ბაზებთან და „ELSEVIER"-თან (Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional).

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო პროცესების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, რომელიც დაფუძნებულია ქვეყნის განათლებისა და კულტურის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაზე.
2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებაზე უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, ასევე უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
3. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმართვისას ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, წინამდებარე პოლიტიკით და სხვა საუნივერსიტეტო აქტებით.
4. სტრუქტურული ერთეულები ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების ნაწილში ანგარიშვალდებული არიან უნივერსიტეტის მართვის ორგანოების წინაშე.
5. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელების მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

მუხლი 2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანია:

1. პარტნიორობა უცხოეთის უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
2. თანამშრომლობა საერთაშორისო საუნივერისიტეტო პროფესიულ გაერთიანებებთან/ასოციაციებთან/კონსორციუმებთან;
3. სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა;
4. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;
5. უცხოელ ხელოვანებთან, პროფესორებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა;
6. საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებითი თანამშრომლობის განვითარება;
7. უცხოენოვან სამეცნიერო ნაშრომთა ბაზებზე წვდომის გაფართოება;
8. ერაზმუს+ და სხვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა;
9. საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის წახალისება;
10. უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;
11. უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება.

მუხლი 3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმებია:

1. ვიზიტი უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში წინასწარ დაგეგმილი პრიორიტეტებისა და მიმართულებების მიხედვით;

2. თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება;
3. საერთაშორისო საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში/ კონფერენციებში მონაწილეობა;
4. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება;
5. უცხოელ სპეციალისტთა მოწვევა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება;
6. უცხოელი მკვლევარების ჩართვა სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო საბჭოში, უცხოელ მეცნიერთა ნაშრომების გამოქვეყნება;
7. საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებსა და კონსორციუმებში გაწევრიანება;
8. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში უცხოენოვანი სასწავლო კურსების მომზადება;
9. ინფორმაციის მოპოვება და სისტემატურად გაცნობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების, მოკლევადიანი პროექტების, კონკურსების და სხვა შეთავაზებების შესახებ;
10. სტუდენტებისა და პერსონალის მხარდამჭერი სერვისები (კონსულტირება სხვადასხვა კონკურსში განაცხადების წარდგენის სპეციფიკაზე, ტექნიკური დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და ადმინისტრაციულ საკითხებში; სტუდენტების კონსულტირება გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სასწავლებლად გამგზავრებასთან და სხვადასხვა ფონდებიდან გრანტების მოპოვებასთან დაკავშირებით, უცხო ენის სწავლის ხელშეწყობა და სხვ.);
11. უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი ვებგვერდი და სხვა საინფორმაციო მასალა უცხოელი პარტნიორებისათვის;
12. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების (ერაზმუს+ და სხვა) აქტიური იმპლემენტაცია და ამ პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებლების ზრდა;
13. საერთაშორისო კონსორციუმებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ახალი შესაძლებლობების მოძიება სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის გასაზრდელად;
14. საერთაშორისო პროექტების განხორციელების მიზნით ადგილობრივი და საერთაშორისო დაფინანსების წყაროების მოძიება;
15. საერთაშორისო საზაფხულო სკოლებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობა;
16. უნივერსიტეტში საერთაშორისო საზაფხულო და ზამთრის სკოლების, საერთაშორისო ფესტივალების, კონკურსების, კონფერენციებისა და სხვა საერთაშორისო პროექტების ორგანიზება;
17. უცხოელი სტუდენტებისათვის ადაპტირებული და სტაჟირების პროგრამების შემუშავება;
18. უწყვეტი განათლების ცენტრის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა უცხოელი მოქალაქეებისათვის;
19. ერთობლივი საგანმანათლებლო, კულტურული და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება საერთაშორისო პარტნიორებთან;
20. საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისა და გაფართოების, გამოცდილების გაზიარებისა და უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდის მიზნით, პერსონალის მონაწილეობა პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულებში/ფორუმებში;
21. სხვა აქტივობები/ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის წინამდებარე პოლიტიკის ეფექტურ აღსრულებას.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი ძალაშია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.
2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას, მასში ცვლილებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.